

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართში N25 – ინდივიდუალური სეიფი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

1. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N25 – ინდივიდუალური სეიფის პირობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N25 - ინდივიდუალური სეიფი**

1. ამ დანართის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 1.1. **ინდივიდუალური სეიფი** - დაჯავშნილი ლითონის კარადაში მოთავსებული სხვადასხვა ზომის უჯრები, რომელიც განთავსებულია ბანკის ტერიტორიაზე და რომელსაც ბანკი განაცხადის საფუძველზე დროებით სარგებლობაში გადასცემს კლიენტს ფასეულობათა შესანახად;
- 1.2. **უჯრა** - ლითონის ყუთი, რომლითაც ფასეულობა ინახება ინდივიდუალურ სეიფში;
- 1.3. **ინდივიდუალური გასაღები** - გასაღები დუბლიკატის გარეშე, რომელიც ინახება კლიენტთან და მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება ინდივიდუალური სეიფის სრულად გაღება უნივერსალურ გასაღებთან ერთად, რომელიც ინახება ბანკში, ხოლო ინდივიდუალური სეიფის სრულად ჩაკეტვა ხდება მხოლოდ ინდივიდუალური გასაღების მეშვეობით;
- 1.4. **ფასეულობა** - შესაბამისი ზომის და მოცულობის დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები, ფული, საიუველირო ნაკეთობები, მხატვრული და ანტიკვარული ფასეულობები, ელექტრონული ინფორმაციის მატარებლები და სხვა ფასეულობები, რომელთა ინდივიდუალურ სეიფში შენახვაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად;
- 1.5. **საოპერაციო დღე - საბანკო დღე** თუ ბანკის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.
2. წინამდებარე დანართით ან/და შესაბამისი განაცხადით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად ბანკი იღებს ვალდებულებას ფასეულობათა შენახვისთვის კლიენტს განაცხადით განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადასცეს ბანკის საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური სეიფი, ხოლო კლიენტი იღებს ვალდებულებას ბანკს გადაუხადოს ინდივიდუალური სეიფით სარგებლობისთვის დადგენილი საკომისიო.
3. წინამდებარე დანართით, მათ შორის წინამდებარე დანართის 9.4., 10.1. 10.3. და 16 პუნქტებით ან/და შესაბამისი განაცხადით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბანკის მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთვის, ბანკს აქვს გირავნობის უფლება ინდივიდუალურ სეიფში განთავსებულ ფასეულობაზე.
4. ინდივიდუალური სეიფისა და ინდივიდუალური გასაღების კლიენტისთვის მიწოდების თარიღი და ადგილი, ბანკმა წინასწარ გონივრული ვადით ადრე უნდა შეატყობინოს კლიენტს. აღნიშნული პირობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებით.
5. ინდივიდუალური სეიფისა და ინდივიდუალური გასაღების სარგებლობაში გადაცემის შესაბამის განაცხადზე მხარეთა მიერ ხელმოწერით დასტურდება, რომ კლიენტისთვის ცნობილია სეიფის ხარისხი და მასზე ბანკის უფლებების შესახებ და რომ კლიენტს გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ინდივიდუალური სეიფი.
6. საკომისიო განისაზღვრება ბანკში დადგენილი ტარიფით ყოველ კალენდარულ დღეზე ინდივიდუალური სეიფის ზომის შესაბამისად. ამასთან, განაცხადში განსაზღვრული ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის ვადის მთელი პერიოდის საკომისიო კლიენტის მიერ გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ.

7. **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის საკომისიო მოიცავს **კანონმდებლობით** დადგენილ ყველა გადასახადს თუ გადასახდელს.
8. **კლიენტი** უფლებამოსილია:
  - 8.1. დანიშნულებისამებრ ისარგებლოს **ინდივიდუალური სეიფით** ისე, რომ ამით არ შემცირდეს **ინდივიდუალური სეიფის** ღირებულება, თუ ეს შემცირება არ არის **ინდივიდუალური სეიფის** ნორმალური სამეურნეო გამოყენების შედეგი;
  - 8.2. **ინდივიდუალური სეიფის** სარგებლობის ვადის მთელი პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ **საოპერაციო დღეს** ჰქონდეს **ინდივიდუალურ სეიფთან** თავისუფალი წვდომა.
9. **კლიენტი** ვალდებულია:
  - 9.1. არ შეინახოს **ინდივიდუალურ სეიფში** ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, საბრძოლო მასალები, ხანძარსაშიში, მალფუჭებადი საგნები, საკვები ნივთიერებები, ფეთქებადი, ტოქსიკური, ნარკოტიკული, რადიოაქტიური, ქიმიური ან/და სხვა ისეთი საგნები და ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის ორგანიზმზე ან/და გარემოზე ან/და რომელთა ფლობა ან/და განკარგვა შეზღუდული ან აკრძალულია **კანონმდებლობით**;
  - 9.2. დაიცვას **ინდივიდუალური სეიფის** ტექნიკური პირობები და ექსპლუატაციის წესები. არ დაუშვას **ინდივიდუალური სეიფის**, **უჯრის**, **საკეტის** ან **ინდივიდუალური გასაღების** ნებისმიერი გაუმართაობა, დაზიანება, განადგურება, დაკარგვა ან **კლიენტის** სარგებლობიდან/მფლობელობიდან სხვაგვარი გასვლა, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და აანაზღაუროს ასეთი შემთხვევით გამოწვეული **ბანკის** ნებისმიერი ხარჯი ან **ბანკისათვის** მიყენებული ნებისმიერი ზიანი/ზარალი;
  - 9.3. გარდა მინდობილი/რწმუნებული პირისა ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი შემთხვევებისა არ გადასცეს **ინდივიდუალური გასაღები მესამე პირებს**; ამასთან, **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში ან/და მინდობილი/რწმუნებული პირის მიერ **მესამე პირისთვის ინდივიდუალური გასაღების** გადაცემის შემთხვევაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ამ პირების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მათ შორის ასეთი ქმედების შედეგად დამდგარ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.
  - 9.4. **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის ვადის ბოლო **საოპერაციო დღის** ბოლომდე გაათავისუფლოს **ინდივიდუალური სეიფი** და **ინდივიდუალური გასაღები** გადასცეს **ბანკს**, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხადოს **პირგასამტეხლო წინამდებარე დანართის მე-6 მუხლით** განსაზღვრული **საკომისიო 14** (თოთხმეტი) მაგი ოდენობით **14** (თოთხმეტი) დღემდე ვადაგადაცილების შემთხვევაში, ხოლო **14** (თოთხმეტი) დღეზე მეტი პერიოდით ვადაგადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ **პირგასამტეხლოსთან** ერთად დამატებით გადაიხადოს **პირგასამტეხლო წინამდებარე დანართის მე-6 მუხლით** განსაზღვრული **საკომისიოს** ოდენობის ექვივალენტი ოდენობით ყოველდღიურად **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის ვადის ბოლო დღიდან **ფასეულობათა ბანკში** ყოფნის მთელი პერიოდისათვის.
10. **ბანკი** უფლებამოსილია:
  - 10.1. **ინდივიდუალური სეიფის** სარგებლობის ვადის დასრულებიდან **20** (ოცი) **საბანკო დღის** განმავლობაში **კლიენტის** მიერ წინამდებარე **დანართის 9.4 პუნქტით** გათვალისწინებული **ინდივიდუალური სეიფის** გათავისუფლებისა და **ინდივიდუალური გასაღების ბანკისთვის** გადაცემის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ვადის გასვლიდან ნებისმიერ დროს, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად მოახდინოს **ინდივიდუალური სეიფის** დემონტაჟი და ამოღებული **ფასეულობა**, გარდა კონვერტირებად ვალუტაში არსებული ფულისა, **3** (სამი) წლის ვადით საცავში შეინახოს (საცავში

შენახვის საკომისიო განისაზღვრება ბანკში დადგენილი სატარიფო განაკვეთით ყოველ კალენდარულ თვეზე, ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საცავში ფასეულობა განთავსებული იქნება არასრული კალენდარული თვის განმავლობაში, საკომისიო იანგარიშება სრულ კალენდარულ თვეზე, ხოლო კონვერტირებად ვალუტაში არსებული ფული შესაბამის ვალუტაში ასევე 3 (სამი) წლის ვადით განათავსოს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს მოცემულ ვალუტაში არ აქვს ანგარიში გახსნილი და ბანკში ფლობს სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშს, მაშინ ბანკი კლიენტს გაუხსნის სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშს შესაბამის ვალუტაში, ხოლო უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ბანკი კლიენტის ანგარიშზე თანხას ასახავს კონვერტაციით, კონვერტაციის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, იმ შემთხვევაში თუ ინდივიდუალურ სეიფში განთავსებული თანხა განსხვავდება მიმდინარე უნივერსალური ანგარიშის ვალუტისაგან და ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად არ არის შესაძლებელი შესაბამის ვალუტაში მიმდინარე უნივერსალური ანგარიშის გახსნა;

- 10.2. ინდივიდუალური სეიფის დემონტაჟისას, მასში აღმოჩენილი კანონმდებლობით შეზღუდული ან აკრძალული ნივთების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ორგანოებს;
- 10.3. წინამდებარე დანართის 10.1 პუნქტით გათვალისწინებული 3 (სამ) წლიანი ვადის განმავლობაში კლიენტის ბანკში გამოუცხადებლობის და შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკმა, როგორც კანონისმიერმა მოგირავენემ განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
  - 10.3.1. თუ საცავში განთავსებული ფასეულობა არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან გაყიდოს იგი, ხოლო ფასეულობის გაყიდვიდან მიღებული თანხით სრულად დაფაროს თავისი ფულადი მოთხოვნები და დარჩენილი თანხა ჩარიცხოს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე. ამ შემთხვევაში ფასეულობის ფასს განსაზღვრავს ბანკის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებელი, ხოლო ფასეულობის რეალიზაციას ბანკი ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ;
  - 10.3.2. არარეალიზებადი ფასეულობის საკითხი გადაწყვიტოს საკუთარი შეხედულებისამებრ.
11. ბანკი ვალდებულია:
  - 11.1. დანართის მოქმედების ვადის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ კლიენტს არ აქვს შესაბამისი ანგარიში ბანკში, საკომისიოს შესატანად თუ წინამდებარე დანართით ან/და შესაბამისი განაცხადით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კლიენტს გაუხსნას შესაბამისი ანგარიში;
  - 11.2. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის მთელი პერიოდის საკომისიოს ბანკისთვის ანაზღაურების საფუძველზე კლიენტს გადასცეს ინდივიდუალური სეიფი და ინდივიდუალური გასაღები;
  - 11.3. უზრუნველყოს ინდივიდუალური სეიფის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და მისი უსაფრთხოება.
12. წინამდებარე დანართით ან/და შესაბამისი განაცხადით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის, გარდა წინამდებარე დანართის 9.4 პუნქტითა და მე-15 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ერთჯერადად და თითოეული შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) დამატებით, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს პირგასამტეხლო ინდივიდუალური სეიფის სარგებლობის ვადის მთელი პერიოდის საკომისიოს 0.5% ოდენობით.
13. წინამდებარე დანართის ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია:
  - 13.1. ბანკის მიერ ცალმხრივად:
    - 13.1.1. წინამდებარე დანართის მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, იმ შემთხვევაში თუ დადგა ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი შემთხვევა:
      - 13.1.1.1. კლიენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ინდივიდუალური სეიფის სარემონტო სამუშაოები;

- 13.1.1.2. **ბანკის მიერ ინდივიდუალური სეიფის ადგილმდებარეობის შეცვლა;**
- 13.1.1.3. შენობის სარემონტო სამუშაოები, სადაც განთავსებულია **ინდივიდუალური სეიფი;**
- 13.1.1.4. **ბანკის სერვისცენტრში ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის გაუქმება;**
- 13.1.1.5. **ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა მიზეზ(ებ)ი.**
- 13.1.2. თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს დანართით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
- 13.2. **კლიენტის მიერ ცალმხრივად.**
- 14. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ **ბანკის მიერ წინამდებარე დანართის შეწყვეტა** მოხდება **დანართის 13.1.1. ქვეპუნქტის** საფუძველზე, **ბანკი** შეტყობინებას უგზავნის **კლიენტს** და თუ **კლიენტი**, **ბანკის მიერ შეტყობინებაში** დაფიქსირებულ ვადაში, გაათავისუფლებს **ინდივიდუალურ სეიფს** და **ინდივიდუალურ გასაღებს** გადასცემს **ბანკს**, **კლიენტს** დაუბრუნდება **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის აუთენტიკაციის ვადაზე **ბანკისთვის** გადახდილი **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** შეტყობინებაში დაფიქსირებულ ვადაში არ გაათავისუფლებს **ინდივიდუალურ სეიფს** და **ინდივიდუალურ გასაღებს** არ გადასცემს **ბანკს**, **ბანკი** უფლებამოსილია იმოქმედოს წინამდებარე **დანართის 10.1. პუნქტის** შესაბამისად, ამასთან, **10.1. პუნქტით** გათვალისწინებული უფლებები **ბანკს** წარმოეშვება **ბანკის მიერ** გაგზავნილ შეტყობინებაში დაფიქსირებული ვადის გასვლისთანავე.
- 15. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ **დანართის შეწყვეტა** მოხდება წინამდებარე **დანართის 13.1.2. ქვეპუნქტის** ან **13.2. პუნქტის** საფუძველზე **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **პირგასამტეხლო**, რომელიც შეადგენს **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის ვადის ბოლომდე დარჩენილი დღეების **საკომისიოს** ჯამურ მოცულობას, არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღისა, წინამდებარე **დანართის მე-6 მუხლით** განსაზღვრული **საკომისიოს** ოდენობის ექვივალენტი ოდენობით. 30 (ოცდაათი) დღის ზემოთ არსებული **ინდივიდუალური სეიფით** სარგებლობის დღეების **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უბრუნდება **კლიენტს**.
- 16. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე აქვს წინამდებარე **დანართიდან** ან/და შესაბამისი **განაცხადიდან** გამომდინარე ნებისმიერი შეუსრულებელი ვალდებულება (მათ შორის, ფულადი ვალდებულება, ნებისმიერ პირობა ან/და სხვა ვალდებულება) **ბანკი** უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცეს **კლიენტს ფასეულობა** თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად შეასრულებს **ბანკის** წინაშე წინამდებარე **დანართის** ან/და შესაბამისი **განაცხადით** განსაზღვრული ვალდებულებებს (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას).
- 17. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე **დანართის 10.1. პუნქტით** განსაზღვრულ შემთხვევაში, **ბანკი** განახორციელებს **ინდივიდუალური სეიფის** დემონტაჟს, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დემონტაჟის შედეგად **ინდივიდუალურ სეიფში** განთავსებული **ფასეულობის** ან/და სხვა ნივთის/ნივთების დაზიანებაზე ან/და მის/მათ ხარისხის შემცირებაზე.